საიუბილეო თარიღის აღნიშვნა მის საფლავთან დაიწყო - დიდი პოეტი ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოშია დაკრძალული. დეკანოზმა გიორგი შანიძემ პოეტის სულის საოხად პანაშვიდი გადაიხადა. მან აღნიშნა, რომ დი-და ზურაბ გორგილაძის ღვაწლი ჩვენი კუთხის წინაშე და ამის დასტურია ის, რომ ტაძრის ეზოში განისვენებს. ნამდვილად მის-სალამებელია მეფე დიმიტრის ინიციატივა, რომ ასეთი გამოჩენილი პიროვნების სამუ-დამო სამყოფელი საკათედრო ტაძრის ეზოში იყოს.

საფლავთან შეიკრიბნენ ზურაბ გორგი-ლაძის ნიჭის თაყვანისმცემლები, მისი შემო-ქმედების დამფასებლები, მეგობრები, ახალ-



ბალიტეტის მერიას. რამდენიმე წლის წინ სახლ-მუზეუმში გაიხსნა, თუმცა მამის შენობა სავალალო მდგომარეობაში იყო. ქობულე-თის მუნიციპალიტეტმა იგი გაარემონტა და ეზო მოაწესრიგა.

გორგაძეების სკოლის მოსწავლეებმა ზურაბ გორგილაძის ლექსებით ლიტერატუ-რული მონტაჟი წარმოადგინეს, სწორედ ამ სკოლაში სწავლობდა პოეტი დაწყებით კლა-სებში, ხოლო მოგვიანებით ქართულ ენა და ლიტერატურას ასწავლიდა.

ლები ხართ. ჩვენ, გორგილაძეები, ვამაყობთ, რომ სისხლითა და ხორციით ერთნი ვართ. ამაყი ვარ, როცა ბათუმის ცენტრალურ ქუ-ჩაზე დავდივარ, რომელიც მის სახელს ატარებს. ჩვენს სოფელში ძალიან ბევრი სასახლო ადამიანი გაიზარდა, მაგრამ ზურაბმა გვარს სულ სხვა დატვირთვა მისცა, ამისთვის მადლობა მას. ქედს ვიხრი მისი ხსოვნის წინაშე, - აღნიშნა ნათელა გორგი-ლაძე.

- ხშირად ვიგონებ ჩვენს სახლში ზურაბ გორგილაძესთან ერთად გატარებულ იმ თბ-ილ საღამოებს, რომლებიც მამამ მაჩუქა. ამის „დამადასტურებელი“ უამრავი ფოტოა. ეს უკვე ისტორიაა. მემამუეა, რომ პატარა ბავშვი, საღამოდან დილაზე ვუსმენდი მათ, გზადავდი სიყვარულს, მოფერებას, გულს-ტკივილს საქართველოზე. როცა ერთად იყ-ვნენ, ღვიწკო მათ ვერ ერეოდა, - თქვა ზაალ ჯა-ფარიძემ.

- ზურაბ გორგილაძე ქართულ პოეზიაში ერთი დიდი ნათებაა. მისი შემოქმედება სამ-შობლო და მისი კუთხის ჭირ-ვარამით იწყე-ბოდა და მთავრდებოდა. ეს გადაახილი წე-დებოდა გადღმა საქართველოში, ტაო-კლა-რჯეთს მცხოვრებ ქართველებსაც. სამშობ-ლოს სიყვარული, მისი წარსული, აწმყო და მომავალი იყო პოეტის საფიქრალი. მისი პო-ეზია ულამაზესი ფერწერა, უძლიერესი მუსიკა... ზურაბის ყველა ლექსს სამშობ-ლოს სურნელი დაჰყვება. ამ სურნელით გვე-ცხოვროს მუდამ, - აღნიშნა პროფესორმა რიონ მალაყმაძემ.

- დღეს არა მარტო ზურაბის ოჯახი, სა-მეგობრო, არამედ ის ადგილიც, სადაც ფეხი დაუდგამს ამ დიდ ადამიანს, უკვე ძვირფასია ჩვენთვის. ის არის კაცი, რომელიც დიდ ის-ტორიად იქცა. ყოველთვის ელოდებოდა დე-დასაქართველო ამ დიდ აჭარიდან ისეთ სიტყ-ვას, სადაც მთელი ჩვენი ერის ტკივილი იქნე-ბოდა დამარხული. ზურაბ გორგილაძე ჩემ-თვის არა მარტო ყველასგან გამორჩეული პო-ეტი, გამორჩეული ადამიანი, არამედ ის შე-მოქმედა, რომელიც აწმყოებს ჩვენ ტკივი-ლებს. გავა დრო, მრავალჯერ შედგება ქარ-თული პოეზიის ანთოლოგია, ზურაბ გორგი-ლაძის „საბა“, „ჩაქარაღი სანთლები“, „ნა-ნა“. ჩემი ზურაბ, დიდი მადლობა, რომ ჩვენს გვერდით იყავი. შენი საფლავის ქვას ახლა

ისე ვეხები, თითქოს შენს გულს ვეხებოდე. მადლობა იმისთვის, რომ ყოველ დღეს გვილ-ამაზებ... ზურაბი ზეციური საქართველოდან თავისი ლექსებით მადლს, სიკეთეს და სიყ-ვარულს გვაფრქვევს. - აღნიშნა მწერალმა ერეკლე სალღიანმა.

- სამწუხაროდ, არ შენობა ბედნიერება, პირადად გამეცნო, მაგრამ მისი პოეზიის მე-შვეობით, თითქმის ყველაფერთან მივედი ახ-ლოს. ეს ძალიან დიდი ფუფუნებაა ჩემთვის. დიდი შრომა და ძალა გავიღე იმისთვის, რომ მივმხვდარიყავი მისი პოეზიის ხიბლს. ეს არ არის მხოლოდ წასაკითხი პოეზია, ის უნდა იგრძნო და იცოდე რაზეც საუბრობს. და ეს სიღრმეები მარტივი არ აღმოჩნდა. ზურაბ გორგილაძე აჭარის სახეა თავიდან ბოლომდე, მისი სიძალიანო, სიტყვა-პასუხით. როცა მისი გამოსვლის ჩანაწერებს ვუყურებ, აცრემლე-ბული რომ ეხმაურება საზოგადოებას, გვხვე-ბი, რომ ძალიან გულწრფელი, გამორჩეუ-ლად სხვანაირი ავტორია, ბოჰემური. ძალიან ალბი, აჭარული, გულიანი, პატიოსანი შე-მოქმედება აქვს. კითხვის დროს აანალიზებ, რომ გარდა აჭარული სილამისა, ახასიათებს ძალიან უცხო სიღრმე, რომელსაც წვედები მხ-ოლოდ დიდი ფილოსოფოსების წაკითხვის შემდეგ... ხვდები, რომ შენ არ გაქვს შენება მხოლოდ იმ ავტორთან, რომელიც საუბრობს დიალექტით და ეფერება თავის კუთხეს. იგი საუბრობს ყველაფერზე და წვედება სიღრ-მეებს, გამოსულია ჩარჩოებიდან. ის მსოფ-ლიო მასშტაბის ავტორია, - გვითხრა ახალ-გაზრდა პოეტმა ნიკოლოზ ფუტკარაძემ.

- ჩემთვის დიდი პატივია, რომ მისი უმც-როსი მეგობარი ვიყავი. მისინაირი ადამიანი ნებისმიერ გვარს დაამშვენებდა. მადლობა მიუფე დიმიტრის ამ სივრცის პანთეონად გაკეთებისთვის, - აღნიშნა აჭარა-ლაზეთის ჩოხოსანთა სადროშოს ხელმძღვანელმა თენ-გიზ თავდგირაძემ.

- სანამ მისი ლექსები არსებობს, იარსე-ბებს საქართველო. დღეს, როგორც არასდრო-ს, ისე სჭირდება ზურაბის ლექსი, მქუხარე ხმა ქვეყანას. ღმერთმა არ მოუშალოს საქა-რთველოს მისი ლექსები, უფალმა გაანათ-ლოს მისი სული, - აღნიშნა პოეტის მეგობარ-მა ჩიტო ომერაძემ.

- ზურაბის დიდ პოეზიაზე უსასრულოდ შეიძლება ლაპარაკი, მისი ყველა „ცუდი“ ლექსი შედეგია, მან ერთად „მოხვეტა“ აჭარაში მცხოვრები ქართველი კაცის წარ-სული, აწმყო და მომავალი. თითქმის არ აქვს ლექსი, სადაც არ იყოს ნახსენები სიტყვა ვა-ზი, ჯვარი, ტაძარი, ეკლესია, სამლოცველო... ის სიტყვის ქურუმი, მან აჭარაში გადარჩე-ნილი სიტყვა ვარსკვლავებში აიტანა, - თქვა პროფესორმა ვლადიმერ მახარაძემ.

ტარიელ მამალაძის სახელობის ქედის გაყთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ელესა“ (ხელმძღვანელი - ირაკლი სირაბიძე, ლოტ-ბარი - მინდია ბერიძე) ჯერ ბათუმში მის სა-ფლავთან საგლოზობები შეასრულა, შემდეგ სახლ-მუზეუმში იმღერა „ჩაქარაღი ჩაყარო ვე-ნახო“ და „მრავალუმიერი“.

გამორჩეულად უნდა ვახსენოთ პოეტის მიუღწევი ქალბატონი ლეილა, რომელმაც გა-მორჩეული მზრუნველობით შეუნარჩუნა ზურაბი საქართველოსაც და პოეზიასაც. ის დღესაც მისი ცხოვრებით ცხოვრობს და მხ-ოლოდ ის უნდა, რომ როგორც დიდ ზურაბს ეკადრება, ისე მივავთ პატივი ყველგან და ყოველთვის. ზურაბ გორგილაძემ ეს ნამდვი-ლად დაიმსახურა.



გაზრდა კოლეგები. მნიშვნელოვანი თარიღთან დაკავშირებით ბათუმში ჩამოვიდნენ - ქუთაის-ის დიმიტრი ნაზარაშვილის კლინიკის დირ-ექტორი, ქუთაისის საპატოლო მოქალაქე, ზურაბ გორგილაძის პრემიის ლაურეატი მერაბ კვიციანიძე, პოეტი ერეკლე სალღიანი, პროე-ქტის „ლექსი კედელზე“ ავტორი შალვა კამ-ლაძე, მწერალი გიზო თავაძე, ზურაბის ნათ-ლია ჯამბულ წულაია...

სახელდახელო გამოსვლებს გაუძღვა პო-ეტი ბელა ქებურია, რომელსაც თავადაც ძა-ლიან ბევრი აქვს მოსაუბრარი პოეტთან გულ-თბილი ურთიერთობებიდან.

აქედან შეკრებილებმა ქობულეთის რაი-ონის სოფელ გორგაძეებში გადაინაცვლეს, სადაც საიუბილეო თარიღსადაც მიძღვნილი ღონისძიებები ზურაბ გორგილაძის რეაბილი-ტირებულ სახლ-მუზეუმში გაგრძელდა, მას საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კა-ვშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით თედორაძე გაუძღვა. აქ მოვიდნენ აჭა-რის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე, ამავე სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ გულაგა, ბათუმის საკ-რებულოს თავმჯდომარე რამაზ ჭინჭარაძე, ქობულეთის მერიისა და საკრებულოს წარ-მომადგენლები, სოფლის მოსახლეობა...

როგორც ცნობილია, ირანის მოქალაქეზე ერთ-ერთი ბანკის მიერ გასხვისებული ეს შე-ნობა და მიწის ნაკვეთი, ბიზნესმენმა, ქველ-მოქმედმა გოჩა ირემიაძემ საკუთარი ინიცია-ტივით გამოისყიდა და აჭარის მთავრობას გადასცა, მთავრობამ კი ქობულეთის მუნიცი-

ღონისძიებებზე სიტყვით გამოვიდნენ ვახ-ტანგ ლლონტი, ცისანა ანთაძე, რომი აბუ-სელიძე, გენრი დოლიძე, აკაკი ძნელაძე, ქობ-ულეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლოშვილი, ერეკლე სალღიანი, ჯამბულ წულაია, გიზო თავაძე, მერაბ კვიციანიძე, პროფესორი აკაკი ბერიძე, აჭარის მამული-შვილთა საგვარეულო კავშირის პრეზიდენ-ტი ჯივრან ფალავანდიშვილი, ზურაბ გო-რგილაძისა და ფრიდონ ხალვაშის სახელო-ბის კლუბ „ზღვაურის“ წევრი თემო ტარი-ელაძე, სტუმრებს მადლობა გადაუხადა პო-ეტის მიუღწევი ლეილა დავითაძემ.

- ზურაბის პოეზია ჩვენ-თვის არის სიყვარულის, სიკე-თის ენა. ესაა ლექსები, რომლებ-საც წაკითხვით და თავისთავად გესწავლება, რადგან ლაღად, ბუნებრივად, როგორც ბუღბუ-ლი, ისე გალობდა. მისმა მეგობ-არმა, დიდმა ბათუმელმა უწოდა კიდევ მას ბუღბული. ბოლო ლექსია სტუდენტებისთვის ზურაბ გორგილაძის პოეზიაზე მა-ქვს. ვფიქრო, რომ ამით მთავრ-დება მე-20 საუკუნის ქართული პოეზიაც, დიდი, გემრიელი „შოიოდა ნანათი“, - აღნიშნა პრო-ფესორმა შორენა მახაჭაძემ.

- დღეს ჩემი მისია ისაა, რომ გვარის სახელით მოგესალმოთ და მოგესიყვარულოთ, მა-დლობა გადაგიხადოთ, რომ მისი პოეზიის ასეთი თაყვანისმცემ-





აღარ მივდივარტი ნინოქაზე ნინოქიანი

ოთარ ცინარძე 599 85 21 14

ზამთრის ცივი დამეგობრების, ზაფხულის გრილი დღეები, შუბლშეკრული აბულის მთა, მწვანედ შეშლილი, აქა-იქ შემორჩენილი თოვლის ნაპვერები, მიწაზე აღორძინებული ქართული სოფლები სამება, სპასოვკა, ორელოვკა, გორელოვკა, მუდამ მასპინძლობისთვის შემართული ლეკო (ალექსანდრე) მიქელაძე, სპასოვკას შემორჩენილი ერთი დუბოზის ოჯახი და მთავარი - ნინოქიანის სკოლა-პანსიონი გაუხუნარ მოგონებად შემორჩა მესხიერებას

მაშინ ბიზნესში პირველ ნაბიჯებს დგამდა შუახვეული ვაჟა დავიტაძე, რომელმაც უდიდესი დახმარება გაუწია ნინოქიანის ტერიტორიაზე აჭარიდან გადასულებს, ერთხელ ნინოქის დღესასწაულის წინ, ბათუმელი მსახიობები და ცნობილი ექიმები ჩაიყვანა იქ ნინოქიანდელთა გულის გასახარებლად და მათი ჯანმრთელობის დღომარეობის გამოსაკვლევი... გოდერძის უღელტეხილზე გაველით წავიდით. გვიან საღამოს ჩავედით ნინოქინდაში. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. დილიდანვე ექიმები საქმეს შეუდგნენ. მსახიობებმა ნინოქინდაში ახლად გადასული, მზრუნველობამოკლებული ბავშვების სკოლა-პანსიონის აღსაზრდელებსაც გააცნეს თავიანთი ხელოვნება. პანსიონი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით მოქმედებდა. პანსიონის მამა გრიგოლი (აბულაძე) ედგა სათავეში. იგი მეორე მღვდელმსახური გახლდათ, რომელიც საუკუნეების შემდეგ აღდგენილ სხალთის ტაძარს წინამძღოლობდა.

მამა გრიგოლი მსახიობებს, მათ ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადა. ნინოქიანის საჯარო სკოლის მაშინდელი დირექტორს იური ვანაძესა და პედაგოგებს ვაჟა დავიტაძის ინიციატივით ჩატარებული ჰუმანიტარული ტვირთი ჩავაბარეთ. - ასე ვუღიანად რატომ ირჯებით? - ვკითხე ვაჟა დავიტაძეს. - ჩვენი ვალია, წმინდა ნინოს წინადადებას მიწაზე ქართული სული გავაცოცხლოთ, - მიპასუხა. ეს პროცესიც მალე დაიწყო. ლეკო (ალექსანდრე) მიქელაძის ინიციატივით

ოულად ნინოქიანის პანსიონის ხელმძღვანელი იყო. მეუფე სპირიდონის ინიციატივით, ქვეყნის, რეგიონისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელთა თანადგომით, 2009 წლის სექტემბერში ხიჭათურის დასახლებაში, ყოფილი რუსული სასაზღვრო ნაწილის ბაზაზე, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭათურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტი დაფუძნდა. მას დაემატა საპატრიარქოს ხიჭათურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლა. ხიჭათური ძლიერ საგანმანათლებლო კერად იქცა.

ორგანიზებულ სასწავლო კურსს უნივერსიტეტის რექტორი მეუფე სპირიდონი სტუდენტთა და მოსწავლეთა შემოქმედებით ექსპედიციებსაც უხამებდა. 1000-ზე მეტ მომლოცველთან ერთად სამეცნიერო-შემეცნიებითი ექსპედიცია «წმინდა ნინოს ნაკვალევზე» 2010 წლის ივნისში ნინოქინდაშიც მოეწყო.

ექსპედიციის მომწოდებელს კარგად ახსოვთ ის მტრული დამოკიდებულება, რასაც ნინოქიანის მიწაზე ქართული სულის აღორძინების მოწინააღმდეგენი იჩენდნენ.

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მეუფე სპირიდონის დიდი ძალისხმევით, ერთ დროს



სუსხიან დღეს თუ ზაფხულის დასაწყისში, მეუფე სპირიდონის ინიციატივით, აჭარიდან მრევლი ნინოქინდაში მოსალოცად მიდიოდა. ღვთისმსახურებას კულტურული ღონისძიებები, მეგობრობასა და სიყვარულში გადაზრდილი ტრადიციები თან ახლდა.

ლი. ლორჯომელ თემურ წინააღმდეგობასთან ერთად ზოგიერთმა პედაგოგმა ნინოქინდაც კი დატოვა. აღარც ასპინძელ ხელოვან შალვა მელიქიძეს მიუხედავად გული პანსიონში, რომ ბავშვებს ქართული ცეკვის ილეთები შეასწავლეს.

წლების განმავლობაში ნინოქიანის ჰოსპიტალის მენეჯერი იყო ნატო ირემიძე, ისიც ბათუმში გადმოვიდა საცხოვრებლად.

ნინოქინდაში მანათობელ ვარსკვლავად რჩება ლეკო (ალექსანდრე) მიქელაძე მასივით ამაყ, გაუტეხელ სპასოვკელთან, ორელოვკელთან, გორელოვკელთან ერთად. მათ სიყვარულის დღესასწაული წამოიწყეს, რომელიც ორჯერ ჩატარეს, მაგრამ პანდემიის გამო შარშან და შარშანწინ ვეღარ შეიკრიბნენ. ნინოქაზე აღარ მივდივართ, მაგრამ ავგისტოში, ხულოს მუნიციპალიტეტის მერ ვახტანგ ბერიძესთან ერთად, ისევ მოვინახულებთ ჯავახეთის მიწაზე ქართული გენის დამკვიდრების მოთავეებს.

საქართველოში ნინო ყველაზე პოპულარული სახელია. სამწუხაროდ, სწორედ რომ ამ სახელის მატარებელმა ითავა ნინოქიანის პანსიონის თითქოსდა «ლიკვიდაცია».

გაივლის დრო და ყველა საიდუმლო გამჟღავნდება, შეფასება მიეცემა სახალხო დამცველსა და მისი აპარატის ქმედებებსაც. ამ ეტაპზე კი არ გვასვენებს ერთი შეკითხვა: ვის დაკვეთას ასრულებდა ქვეყნის სახალხო დამცველი? არ ვვინა, მის უკან არაერთგვარად აღამიანები, საქართველოს დაუძინებელი მტრები იდგნენ. და კიდევ ერთი კითხვა გვიჩნდება, სახალხო დამცველმა, თუნდაც მასმედიის საშუალებებმა მაშინ რატომ არ აღიმაღლეს ხმა, როცა მოძრაობა «ჯივქის» ლიდერებმა ერთ დღეს საქართველო-სომხეთის საზღვარზე სოფელ სამებაში მდებარე 15 სახლი ტრაქტორით მიწასთან გაასწორეს?

მსოფლიოში ჯავახეთის ზეგანი, კარპატებისა და ალპების მიმდებარე ტერიტორიები ყველაზე ნაყოფიერი მიწებია ცნობილი. თავის დროზე მეფის რუსეთმა, თუნდაც გენერალმა პასკევიჩმა წმინდა ნინოს წინადადებას მიწაზე თურქეთიდან დეპორტირებული ოჯახები ჩაასახლა. მათ ერთხელ კიდევ უნდა შეგახსენოთ, რომ ეს საქართველოა, ქართული მიწა და იქ ქართული ჯიშისა და გენის დამკვიდრებას წინ ნუ აღუდგებიან...

- 1 ივნისს ნინოქა. გილოცავთ საქართველოში ამ წმინდანის შემობრძანების დღეს. ღვთისმშობლის წოლხვედრ საქართველოს მრავალი ტანჯვა, ბოროტება, ღალატი ახსოვს. ეს 21-ე საუკუნეში აღარ უნდა განმეორდეს. ვაჟა დავიტაძის, მეუფე სპირიდონის, ლეკო მიქელაძის, იური ვანაძის, გოგი დოლიძის, ვაჟა ბერიძის საღარბა მამულიწვილებმა ჯავახეთი, ნინოქინდა სხვებს არ უნდა შეატოვონ საჯივანდ...

ნინოქინდაში მანათობელ ვარსკვლავად რჩება ლეკო (ალექსანდრე) მიქელაძე მასივით ამაყ, გაუტეხელ სპასოვკელთან, ორელოვკელთან, გორელოვკელთან ერთად. მათ სიყვარულის დღესასწაული წამოიწყეს, რომელიც ორჯერ ჩატარეს, მაგრამ პანდემიის გამო შარშან და შარშანწინ ვეღარ შეიკრიბნენ. ნინოქაზე აღარ მივდივართ, მაგრამ ავგისტოში, ხულოს მუნიციპალიტეტის მერთან ვახტანგ ბერიძესთან ერთად, ისევ მოვინახულებთ ჯავახეთის მიწაზე ქართული გენის დამკვიდრების მოთავეებს

მივდებულ ტერიტორიაზე ახალი შენობა წამოიშალა. მის ბოლო სართულზე სამოციველო განთავსდა. იგი წმინდა ნინოს ხსენების დღეს 27 იანვარს საზეიმოდ გაიხსნა. ქვეყნის ღირსეული მეცნიერები, ხელოვანები, მწერლები, აჭარიდან

ჟურნალისტის უბის წიგნაკს შემორჩა ნინოქინდაში წამოწყებული ის დიდი საქმეებიც, რომლის სათავეში იდგნენ საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი კვეციანი, აკადემიის წევრი ვანო პაპუნაძე, ბერიძეების გვარის ეთნარქი ვაჟა ბერიძე, პოლიტიკოსი გრიშა ონიანი, მწერლები ემენ დავიტაძე, ფრიდონ ხალვაში, პოეტი იაშა თანდლია...

ნინოქინდელები დიდი სიხარულით ხვდებოდნენ ქედის, ხულოს, შუახვევის კულტურის ცენტრებთან, სულის სახელოვნებო, ხიჭათურის სკოლებთან არსებული ფოლკლორული ანსამბლების «ელესას», «იაგუნდის» ბერმუნასა, «ხულოს», «ფეხვების», «შუახვევის», «არგიეთის», «ციცინათელას», «ოთლოთას» გამოსვლებს. სტუმრების აღფრთოვანებას იწვევდა ის მხატვრულ-მუსიკალური კომპოზიციები, რომელსაც პანსიონის აღსაზრდელები გვთავაზობდნენ...

კეთილ მოგონებად შემორჩა მრავალთა მესხიერება ის დიდი საქმეები, რაც ჯავახეთის ზეგანზე, კერძოდ, ნინოქინდაში კეთდებოდა. საქართველოს ყველაზე დიდი მტერი ქართველი იყო. ლევან სანიკიძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, იმ «309 ქართულ სირცხვილს» კიდევ ერთს დაუმატებდა - ნინოქიანის სკოლა-პანსიონში გატარებულ არაერთგვარ, უმართებულო ღონისძიებებს.

აღარ მივდივართ ნინოქაზე ნინოქინდაში, რომე ჩავიდეთ, აღარ დავგვხვდება პანსიონში ძველებურად მშვიდი ატმოსფერო. იყო დრო, როცა იგი 180 აღსაზრდელსაც ითვლიდა.

ნინოქიანის ქართულ სკოლაში მოსწავლეთა კონტინგენტი მინიმუმამდე შემცირებუ-



(ის ახლაც ნინოქიანის მუნიციპალიტეტის მერის ანთვარდ მოსოიანის პირველი მოადგილეა), საქმისწარმოება ქართულ ენაზე დაიწყო.

2006 წლის დეკემბერში, ახლად გახსნილ სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსად (ახლა მთავარეპისკოპოსი) მეუფე სპირიდონი (მამა გრიგოლი) მცხეთის საკათედრო ტაძარში, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოაჩივს. ის ამავედროს

ჩამოსული მომლოცველები, ადგილობრივი მრევლი, ნინოქიანისა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები და, რაც მთავარია, ნინოქიანის პანსიონისა და ქართული სკოლის აღმზრდელპედაგოგები იყვნენ ამ მამულიწვილური, ეროვნული საქმის მოწმენი.

თითქმის 10 წლის განმავლობაში, იანვრის

1 ივნისი - სამყაროს ყველაზე თხილი არსებების დღესასწაული

პირველი გვერდიდან

- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს სიმბოლური დროა გამოსახავს. მწვანე ფონზე (რაც ზრდის, ჰარმონიის, ხალისისა და ნაყოფიერების სიმბოლოა) დედამიწის, როგორც საყოფელთაო სახლის ირგვლივ განლაგებული სხვადასხვა ფერის ადამიანის ფიგურები მრავალფეროვნებას, მრავალმხრივობასა და მშვიდობას გამოხატავს.

ამ დღეს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ბავშვებისთვის გასართობი და კულტურული ღონისძიებები ეწყობა.

თუმცა, ბავშვთა საერთაშორისო დღეს მხოლოდ გასართობი ხასიათი როდი აქვს. ეს დღე იმის შესხენებაა, რომ ყველა ბავშვი ჩან-

სად და უსაფრთხო გარემოში უნდა იზრდებოდეს, სადაც მას სრულყოფილი განათლებისა და ყველა აუცილებელი სიკეთის მიღება შეუძლია.

ამრიგად, ზაფხულის პირველი დღის დავგმა ბავშვებისთვის ორმაგად სასიხარულოა - იგი სამყაროს ყველაზე თხილი არსებების დღესასწაულია.

ყველა პატარას თავისი განსაკუთრებული და საინტერესო სამყარო აქვს, სურვილებითა და ოცნებებით საცხე. ზოგის ოცნება შედარებით ადვილად მისაღწევია, ზოგის კი თითქმის შეუძლებელი, თუმცა მათ მაინც სწამთ, რომ ოცნებები სრულდება. ალბათ უფროსებისგან სწორედ ამით განსხვავდებიან.

შეკითხვაზე, რას შესთავაზებენ ბავშვებს

ამ დღის ღამაზე და ხალისიანად აღსანიშნავად, ღონისძიებების მენეჯერმა **ზურა ჩართოლანმა** გვიპასუხა: - 12 საათზე საზეიმოდ მოერთულ პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ბავშვებს ხალისიან და საინტერესო გარემოს შეუქმნან მოწვეული ანიმატორები, გამართება საბავშვო და შემეცნიებითი თამაშები, ასევე - ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა, 2 საათიდან 10 საათამდე კი კონცერტი.

ამ დღის მთავარ გმირებს, ბავშვებს გავესაუბრეთ და ვკითხეთ, რა იციან ამ დღესასწაულის შესახებ, რაზე ოცნებობენ?

ლუკა ასანიძე, 10 წლის:
- მიყვარს ეს დღე, რადგან ყოველთვის ძალიან კარგ დროს ვატარებ ჩემს მეგობრებთან ერთად. დედამ მითხრა, რომ ბავშვთა დაცვის დღე ყველას უნდა შეახსენებ, რომ ჩვენი უფლებების დაცვა აუცილებელია და იმას, რომ უნდა გავიზარდოთ უსაფრთხო გარემოში და სწორედ ეს დღე არის იმის სიმბოლო, რომ საქართველომ და ოჯახმა ყველაფერი გააკეთონ, რათა ჩვენი უფლებები არ დაიარღვეს.

ბების დაცვა აუცილებელია და იმას, რომ უნდა გავიზარდოთ უსაფრთხო გარემოში და სწორედ ეს დღე არის იმის სიმბოლო, რომ საქართველომ და ოჯახმა ყველაფერი გააკეთონ, რათა ჩვენი უფლებები არ დაიარღვეს.

- ანა რუხაძე, 11 წლის:
- ჩემი ოცნებაა, რომ ჩემს დაბადების დღეზე დავბატიყო ბევრი ბავშვი და საჩუქრები მართო მე კი არა, მათაც დაურთოდეთ და იყვნენ გახარებულები. ბავშვთა დაცვის დღეს ბევრი ბავშვი ბედნიერია და ყოველთვის სიხარულით ველოდები ამ დღეს.

ელენე ბარათაშვილი, 5 წლის:
- ვოცნებობ, რომ ფრთები მიქონდეს და ფრენა შემიძლოს. კიდევ ძალიან მინდა, მალე გავხდე 6 წლის, რომ სკოლაში წავიდე. ფერადი ველოსიპედიც მინდა.



კომიტეტი სკოლების ზიზღითაა და არსებული მდგომარეობის შესწავლას იწყებს

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის გასული წლის მუშაობის შედეგად, რომელიც სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლაში ჩატარდა, ხელგაჩაურის საჯარო სკოლების დირექტორები და ბიბლიოთეკარები ესწრებოდნენ. როგორც რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სა-

კითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაციკაძემ განაცხადა, მათი მიზანია, აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, თემატური მოკვლევების დაწყება. უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემული ინფორმაციით, «დარგობრივი კომიტეტი ამ მიზნით, საწყის ეტაპზე, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს გეგმავს. ამასთან, სპეციალურად მომზადებული კითხვარები რესურსცენტ-

რებსა და საჯარო სკოლებს დაეგზავნება. შემოსული მასალების ანალიზის შემდგომ კომპლექსური დასკვნა, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება სათანადო ღონისძიებები და შემუშავდება რეკომენდაციები». კომიტეტი ანალოგიურ გასვლით სხდომებს უახლოეს მომავალში აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებშიც გამართავს.

იან შველიძე



გაგაჩვენა შუახვის სკოლის გუნდს ეროვნული

ოთარ ცინცაძე 599 85 21 14

შუახვეში კალათბურთის პოპულარული ხდება. იუნორები ცდილობენ ის შედეგები გააუმჯობესონ, რაც ერთ დროს ამირან ზოიძემ, ბესარიონ დიასამიძემ, როლანდ ნინუამ, ამირან ბიჭიკო დავითაძემ, ვოვა ავილოვამ მიიღო.

ნის, ხიჭაურის საჯარო საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის ხელმძღვანელები და მწვრთნელები კალათბურთის განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რაც შუახვის პირველობაზეც წარმოჩნდა. ფინალში ერთმანეთს შუახვისა და ფურტიოს საჯარო სკოლების გუნდები დაუპირისპირდნენ. შუახვე-

ლებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს. ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად შუახველი საბა ზოიძე აღიარეს. მესამე ადგილი ნენის საჯარო სკოლის გუნდს ერგო. ტურნირის ორგანიზება გაუწიეს შუახვის მერიამ და სასპორტო სკოლამ. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები სამახსოვრო თასებით, ხოლო მონაწილენი საპატიო სიგელებით და მედლებით დაჯილდოვდნენ. შედეგად შუახვის ნაკრები, რომელიც აჭარის ჩემპიონატზე იასპარეზებს.



კონკურსი – სახვით ხელოვნებაში

ნათია იმედიანი 27 48 93

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ქვეპროგრამის «კონკურსები და ოლიმპიადები» ფარგლებში, ჩატარა სახვითი ხელოვნების კონკურსი. სახვითი ხელოვნების კონკურსის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების აღმოჩენა და წახალისება. კონკურსში მონაწილეობდა აჭარაში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების V-IX კლასების 1539 მოსწავლე. კონკურსი გაიმართა ორ კატეგორიაში: I

კატეგორია - V-VI კლასელებს შორის; II კატეგორია - VII-IX კლასელებს შორის. დასკვნით ტურში გადავიდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 254 მოსწავლე. საპრიზო ადგილი V-VI კლასების მოსწავლეებს შორის სამმა მონაწილემ მოიპოვა, ამდენივე - VII-IX კლასების მოსწავლეებს შორის.



„კანდიდატის სტატუსის მინიჭების შანსი გვაქვს“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში გატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები, ევროკავშირთან თანამშრომლობის შედეგად მიღებული სარგებელი და შესაძლებლობები - ამ თემებთან დაკავშირე-

დად, საქართველო სექტორული ინტეგრაციის კუთხით, წლებია, ითვლება წამყვან რეფორმატორ ქვეყნად და იმედია, ეს გათვალისწინებული იქნება. მიმართა, რომ საქართველო იმსახურებს ევროპულ ოჯახში დაბრუნებას და მის სრულფასოვან წევრობას. რაც შეეხება კან-



ბით, მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ისაუბრა საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა დავით ბუჯიაშვილმა. მან ყურადღება გაამახვილა საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწვევების განაცხადის გაკეთებასა და ამ მხრივ ქვეყანაში გატარებულ პროცედურებზე. - დღევანდელი შეხვედრის მთავარი მიზანია, მოსახლეობას მივაწოდოთ ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომელიც ახლა ძალიან აქტუალურია - ეს არის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი. პირველ რიგში, რაც მინდა ვთქვა, არის ის, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მთავარია, არ შეიქმნას არადეკლარატიული მოლოდინები. საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა რომ გახდეს, ჯერ კიდევ მთელი რიგი საკითხები აქვს გასაწველი, სწორედ ამიტომ პროგნოზის გაკეთება რთულია. მოგეხსენებათ, ევროკავშირში გაწვევებისთვის მისი წევრი 27-ვე ქვეყნის თანხმობაა საჭირო. ზო-

დიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას, შეიძლება ითქვას, 5-6 თვის წინ სრულიად წარმოდგენილი იყო, რომ ჩვენ ამ სიტუაციაში აღმოვჩნდებოდით, მაგრამ უკრაინის ფაქტორმა გააჩინა შესაძლებლობების ფანჯარა, დღესდღეისობით კი განაცხადიც გაკეთებული გვაქვს და კითხვარში შეგზავნილია, რომელიც მასშტაბურ სამუშაოს მოითხოვდა. საქართველო-უკრაინა-მოლდოვა ერთიან კონტექსტში განიხილება. ერთის თქმა შემოდის: რა ეტაპზე ვიმყოფებით 6 თვის წინ, იმაზე კარგი გადაწყვეტილებები რომ იქნება ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ მიღებული, ეს ცხადია, თუმცა რთული გამოსაცნობია რა გადაწყვეტილება და რა - პირობებით. წლების განმავლობაში ვითხოვდით, ჩვენი ქვეყნისთვის ევროპული პერსპექტივა გახსნილიყო ევროკავშირის მხრიდან და მინიმუმ ეს პერსპექტივა გაიხსნება, რაც ნიშნავს, რომ კანდიდატის სტატუსის მინიჭების შანსი გვაქვს. - განაცხადა დავით ბუჯიაშვილმა. შეხვედრა ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, EECM-ის ბათუმის ოფისის ორგანიზებით გაიმართა.

„ინტელექტუალური მარათონი“

ნათია იმედიანი 27 48 93

ხელგაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის მიერ ორგანიზებული „ინტელექტუალური მარათონის“ დასკვნითი ღონისძიება კაპრეშუმში გაიმართა. საუკეთესო შედეგების მქონე ახალგაზრდებს წიგნების მალაზის 50-50-ლარიანი ვაუჩერი გადაეცათ საჩუქრად. თამაშის ყველა მონაწილე ხელგაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ბრენდირებული ფასიანი საჩუქრებით წახალისდა. „ინტელექტუალური მარათონი“ ახალგაზრდებს შორის 18 მაისს დაიწყო. ღონისძიებებში ახალშენში, თხილნარსა და კაპრეშუმში მცხოვრები 100 ახალგაზრდა იყო ჩართული.



შეხვედრის განხორციელება

28-30 მაისის გაზეთ «აპარაში» (№53) გამოქვეყნებულ მასალაში «თბილისი მოგონებებით და სიამაყით ვეფერები ზურაბ გორგილაძის ბოლოქარ სულს» ტექნიკური მიზეზებით გაიპარა შეცდომა: «...უკვე გზავდებოდი, რომ გველოდებოდა მივიღო» ნაცვლად უნდა იყოს: «...უკვე გზავდებოდი, რომ ხალხში მივიღოდი», დანარჩენი - როგორც ტექსტშია.

<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>მარიანა მითაიშვილი</p>	<p>გამომცემი რედაქტორი</p> <p>ირმა შერვაშიძე</p> <p>ლიტერატურული რედაქტორი</p> <p>ეთერ ხოშიაძე</p>	<p>რედაქცია პასუსს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p>გამომცემი - შპს</p> <p>«ბაზენი აჭარა და ალქარია»</p> <p>კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»</p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაქდაშაძის ქ. №3</p>	<p>მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლშვილის ქ. №2</p> <p>ტელ: 27-13-31</p> <p>აიწყო და დაკაბადონა</p> <p>გაზეთი აპარაში კომპ. ცენტრი</p> <p>დასაბავსებელი ხელმოწერა 30/05/22, 21 სთ.</p>	<p>ლიტერატორი</p> <p>გამუკა გერიკა</p>
--	--	---	---	--	--



ლაბრუნება – ნინო მინაზა

იორდანიაში, მაცხოვრის ნათლობის ადგილიდან რამდენიმე მეტრში, საქართველოს 4 ათასი ცემ ნაკვეთი ოფიციალურად გადაეცა. აქ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის კურთხევით, ქართული კულტურის ცენტრი აშენდება

საქართველოსთვის მიწის გადაცემასთან დაკავშირებული ოფიციალური ცერემონიის დაწყებამდე, იორდანიაში ვიზიტით მყოფი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი მთავრობის წევრებთან ერთად, იორდანის შაშიმითური სამეფოს მეფე აბდალა II-ს შეხვდა და წმინდა მიწაზე საქართველოსთვის მიწის გადაცემისთვის მადლიერების ნიშნად, ქვეყნის სახელით, ოქროს საწმისის ორდენი გადასცა.

„დიდი მადლობა, თქვენო სამეფო აღმატებულებავ! ჩემთვის დიდი პატივია, პირადად რომ გხვდებით. მადლობა ჩვენი მოწვევისა და მიღებისთვის. საქართველოსთვის მიწის ნაკვეთის აღმოცენის შესახებ თქვენი ძალიან გულუხვი გადაწყვეტილებისთვის მადლობას მოგახსენებ ჩვენი მთავრობის, ქვეყნისა და ხალხის სახელით. ეს არის უდიდესი საჩუქარი და სიხარული მთელი ერისთვის. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ამისთვის. ასევე მინდა ხაზი გავუსვა ჩვენი ურთიერთობის მნიშვნელობას. ნამდვილად კარგი შესაძლებლობა მოგვაცა ორმხრივი ურთიერთობისა და სამომავლო განვითარების განახლებად“, - მიმართა მთავრობის მეთაურმა მეფე აბდალა II-ს.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ წმინდა მიწაზე საქართველოსთვის აღმოცენდა მიწის ნაკვეთი ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობა ხელს შეუწყობს ორ ქვე-

ყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაღრმავებას და ქართველი და იორდანელი ხალხის ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ ცნობადობის გაზრდას.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა მისი აღმატებულება პრინც ლაზის, ასევე იერუსალიმის პატრიარქისა და იორდანის არქიეპისკოპოსის როლს საქართველოსთვის მიწის გადაცემის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აღნიშნა, რომ პრინც ლაზის პირადი წვლილი გადაწყვეტი იყო საბოლოო შეთანხმების მიღწევაში და საქართველო ამას ძალიან აფასებს.

შეხვედრაზე გამოითქვა საქართველოსა და იორდანის შაშიმითური სამეფოს შორის არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მზაობა. საუბარი შეეხო ორ მუშობელ რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოს. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ იორდანის შაშიმითური სამეფო განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და საკანში ქვეყანა, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობასა და უსაფრთხოებას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მეფე აბდალას პირად როლს და არაბულ ქვეყნებთან ისტორიული კავშირების აღდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

მთავრობის მეთაურმა იორდანის შაშიმითური სამეფოს მეფეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და მისთვის ხელსაყრელ დროს საქართველოში მოიწვია.



საზეიმო ღონისძიებაზე, რომელსაც პრინცი ლაზი დაესწრო, პრემიერმა საზეიმოდ გახსნა ბარელიეფი. მასზე ქართულ და არაბულ ენებზე აღნიშნულია, რომ აქ აშენდება სულიერებისა და კულტურის ცენტრი. ბარელიეფზე დატანილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიაშვილის ხელმოწერები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი იერუსალიმის პატრიარქ თეოფილოს III-სა და იორდანის მართლმადიდებელი ეკლესიის არქიეპისკოპოს ქრისტოფოროს ატალას შეხვდა

და მთავრობის მეთაურმა იერუსალიმის პატრიარქსა და იორდანის მართლმადიდებელი ეკლესიის არქიეპისკოპოს მდინარე იორდანისთან მიწის ნაკვეთის საქართველოსთვის გადაცემის პროცესში მათ მიერ გაწეული ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა. პრემიერ-მინისტრის შეფასებით, უდიდესი ისტორიული მოვლენაა, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით შედეგად, 300 წლის შემდეგ, საქართველო წმინდა მიწას დაუბრუნდა.

მომზადდა ელიზბეტ საყვარელიძემ

„აქ ისა მოვლივარ, როგორც – შინ“

ოთარ ცონარიძე 599 85 21 14

პოეტი ნინო მორჩილიძე ქართლიდანაა. ცხოვრობს და მოღვაწეობს დედაქალაქში. რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორმა ერთ-ერთს, ჭვანის ხეობის თემატკაზე შექმნილი ლექსის მიხედვით, „ქვაკაცა“ დაარქვა. მან მთიანი აჭარა პირველად საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე „ზე-კართან“ გაიცნო. როგორც ახალგაზრდა პოეტი ამბობს, საქართველოს ეს დიდებული მხარე მშობლიურად შეიყვარა.

ქალბატონო ნინო, გილოცავთ ნინო-ობას. ხართ ავტორი ლექსისა „მზის სათნოება“, რომელიც წმინდა ნინოს მიუძღვნით. ქრისტიანულ თემატკას რა ადგილი უჭირავს თქვენს შემოქმედებაში?

- როცა წმინდანის მოსახლე ხარ, გარდა დაბადების დღისა, გაქვს ანგელოზის ხსენების დღეც. მოციქულთაწილობის ხსენების დღე წელიწადში ორჯერ აღინიშნება - 1 ივნისს, (ძველი სტილით 308 წლის 19 ივნისი - ჯავახეთში შემოსვლის თარიღი) და 27 იანვარს (ძველი სტილით 338 წლის 14 იანვარი) - გარდაცვალების თარიღი. რაც შეეხება ლექსს, „მზის სათნოება“, ქრისტიანული პოეზიის ფესტივალისთვის დავწერე და პირველი ადგილიც დაიმსახურა. მართლაც, „რომ არა „ძალიან ღობისა“ და „მზის სათნოება...“ ნამდვილად გაუჭირავდა სიფრთხილსა, პატარა გოგოს, წარმართათვის ქრისტეს სიყვარულისთვის გაეხსნა გულემა.

ვინ დაგანათლათ სახელი?

- ნინო პაპამ - ლევან მორჩილიძემ დამარქვა. დიდ ბებიებში სამი ნინა მყავდა... თუმცა, მთავარი მაინც წმინდა ნინოს მოსახელეობაა. რამდენიმე წლის წინ მოვილოცე კაბადოკიაში. როგორც იქ გითხრეს, დაბაოთაპისარი არის წმინდა ნინოს სამშობლო. მახსოვს, შემადლებულ ადგილას ავედით, საიდანაც იშლება ხედი უძველეს ნასახლარებზე. ერთს აწერია, რომ იქ ცხოვრობდა წმინდა ნინო. სამწუხაროდ, საკმაოდ მოუვლელია იქაურობა.

აჭარა მშობლიური ქართლივით შეიყვარეთ...

- საქართველოში ყველაზე ადრეულ ხანაში დასახლებული ტერიტორია სწორედ აჭარაში მდებარეობს. ეს კუთხე გამორჩეულია ქვის თაღოვანი ხიდებით, სამოლოცველოებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია არამატერიალური - ქართული პოლიფონიისა და ცეცვის ფენომენი. ამ მხარეს ბევრი ტკივილი აქვს გადატანილი. ვფიქრობ, მისი უნიკალურობა სწორედ ამაშია - ენაში, ტრადიციებში, რიტუალებსა და ყოველდღიურობაში ასახულ საერთოობასა და განსხვავებებში. აქ ისე მოვდივარ, როგორც შინ - ჩემს სახლში.

პირველივე ლიტერატურულ ფესტივალზე „ზე-კართან“ მოგიწვიეს. მას მერე ხართ ფესტივალის საპატიო წევრი და „ზე-კართან“ ყაბალახის მფლობელი.

- როდესაც ფესტივალზე „ზე-კართან“ ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ



რეჟისორ ვახტანგ ბერიძის ღვაწლი. სიტყვა „ღვაწლი“ სწორად მოგესმათ... ნამდვილად არ ვთვლი გადაჭარბებულ შეფასებად. ვახტანგ ბერიძე, როგორც ფესტივალის ავტორი, ორგანიზატორი და სულისჩამდგელი, წერს თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების უნიკალურ ისტორიას. ფესტივალი მთიანი აჭარის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებასა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ხელოვანებს შორის მიყვარულის საიმედო და ურყველ საძირკველს ადუღებებს... და რჩება ლექსებში, პიესებში, მოთხრობებსა თუ რომანებში. ამ ფესტივალმა თვალსაწიერი გამომიღებდა და გამომრავაღფეროვნა.

გვიამბეთ ლექსზე „ქვაკაცა“.

- ჭვანის ხეობაში მდებარე კლდე ქვაკაცა გახდა ამ ლექსის შთაგონების წყარო. ლექსს კარგი ბედიც დაჰყვა, ბათუმის „ლექსების გამოფენის“ გამარჯვებული გახდა. ხშირად მაკითხებენ და მეც მიყვარს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე კრებულისთვისაც „ქვაკაცა“ დამერქმია.

შეადარეთ ქართლისა და აჭარის სოფლების ცხოვრება.

- ალბათ, ასე გამორჩეულად იმიტომ მიყვარს მთიანი აჭარა, რომ მშობლიურ ქართლს მაგონებს. თვალად ჰქვია ჩემს სოფელს, სადაც გავიზარდე და ვისწავლე დაწყებით საფეხურზე. აჭარის მთებში უფრო მკაცრი ბუნებაა. დასამახსოვრებლად საინტერესოა ეზოებში საფლავეები. სწორედ ეს მგონია აჭარის სოფლების სავსებობის მიზეზიცა და მიზანიც.

ვისთან სტუმრობა გასწავლდათ გამოჩენულად?

- მასწავლებლა იაილბეზე ვანო ბერიძესთან და მის მეუღლესთან ჩვენი სტუმრობა. იქ იყო აღქმისნაირი ელერდაშვილიც, რომელიც, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის. მახ-

ლდენ ქალბატონი ბელა ქებურია და ჩემი ვაჟი ნიკოლოზი. მასხენდება მთისუბნის ციხეც. უცებ გაწვიმდა, აცვიდა და ავზმურდით. ჩვენთან მოვიდა შემორჩენილი მცხოვრები, გვარად სურმანიძე და სახლში მივიტოვეთ. შუა ზაფხულში ღუმელი ერთოთ, ჩვენი კი სიცივისგან ვკანკალებდით. სოფელ ხაბელაშვილებში გვყავდა არაჩვეულებრივი მასპინძლები, ასევე, ნიგაზულში. არ შეიძლება, არ გავიხსენო ჩვენი მეგობრობის - ზურაბ ზოიძის ოჯახი ახალდაბაში. ზურას დედა მამინც ცოცხალი იყო. როგორი სიყვარულით გვიმასპინძლეს... საუცხოო მასპინძლები არიან აჭარაში.

სოფელი თუ ქალაქი? როგორ აისახება ეს თქვენს შემოქმედებაში?

- სოფელი არის ჩემი ბავშვობა და, ვფიქრობ, ჩემი სიბერეც, რადგან ყველა წარმოდგენასა და ხილვას იქით მიყვარა. ბანდემისას საავადმყოფოში ვიწვიე და ჩემმა კლასელმა მომიწერა, არ შეგეშინდეს, ნინო, მოხუცი „მეყვარ“ ნანახი... აჟამად ქალაქში უფრო მეტად ვარ. აქ ცხოვრობს, მგეუშაობ, იშვიათად ვახერხებ რუტინისგან თავის დაღწევას. შემოქმედებაშიც ისეა, როგორც ცხოვრებაში. ხშირად მიწევს იმის გაპროტესტება, რისი ფუფუნებაც აღარ მაქვს - დიდი ხნით დარჩენა სიმშვიდეში. სიმშვიდე კი მთებშია.

სოფლად დაგანებულ ადათ-წესს, რომელიც ხელიდან გვეცლება...

- სადღა ძველი ტრადიციები - ჭონა, ბერიკაობა, ყველა... წინათ ყველა ოჯახში ინახებოდა ზედაზე - ეკლესიისთვის ან რომელიმე წმინდანისთვის მისართმევი ღვინო. ქვევრებში ღვინის შენახვის ტრადიციაც აქაიქ შემორჩა ქართლში. ასევე ახალი წლის დამეს იყო ასეთი ტრადიცია - აცხობდნენ ბასილას, ორ-ორ კვერს ოჯახის ყველა წევრისთვის და თითოს შინაური ცხოველებისთვის, ოჯახის უფროსი ბედის კვერბსა და ბასილას ღორის თავთან ერთად ხონჩაზე მოთავსებდა, ზედ სანთლებს მიაკრავდა და გარეთ გავიდოდა. სამჯერ შემოუვლიდა სახლს ლოცვით, შემდეგ სახლში დაბრუნდებოდა. ხონჩას ცეცხლთან მიდგამდა, თავად ცეცხლს შეუჩინებდა და წარმოთქვამდა ლოცვას. ქართლში სახალწლო ხონჩას „აბრამიანს“ ეძახდნენ.

თქვენი როლი ოჯახში...

- ვარ დედა, მეუღლე, შვილი... თავისებური, თუმცა მშვიდობისმოყვარე. ვინც მიყვარს, გულით მიყვარს და ერთგულად ვემსახურები.

რა ასაკში მოგაკითხათ სიყვარულმა?

- სიყვარულს რას გაუგებ, ის არც კონკრეტულ ასაკში მოგვხვდა და არც ჩარჩობებში ჯდება. უყვარს სულის ფორიაქი და დროს და ასაკს არად დაგიდევთ. ასე რომ, საბავშვო ბაღში ერთ პატარა ბიჭს რომ კანფეტებს გუზიდებდი, მგონი ისიც სიყვარული იყო...

არჩევანის წინაშე ხომ არ დამდგარხართ?

- ღვთის წყალობით, როცა შეიძლება მიყვალვით გამიჩნდა, დაღა საკითხი: ან ბავშვები უნდა აღმეზარდა ან კარიერას გავყოლოდი... ასე რომ, წლების შემდეგ, როცა ბიჭები საკმაოდ მოზრდილები იყვნენ, მომიწია პროფესიის შეცვლა და ყველაფრის ნულიდან დაწყება. ზოგჯერ გული დამწყვეტია, მაგრამ ყოველთვის, ყველა ეტაპზე, დამოუკიდებლად ვქმნიდი საკუთარ თავს და როცა ამას იაზრებ, გულისტკენაც ქრება.

თქვენი ცხოვრების ლაიტმოტივი - საყვარელი ფრაზა...

- ვცხოვრობ, მიყვარს, ვწერ.

საზოგადოებაში - ღირსეული ადგილი, მეგობართა დიდი წრე, ოჯახური იდილია. კიდევ რას ინატრებთ?

- თვითმზანი არაფერი ყოფილა. როგორც ვარ, ისე მიმდის ცხოვრება. საზოგადოებაში ადგილზე საუბარი ნაადრევი მგონია, ნაკლებად ვეძებ განსაკუთრებულ წრეს ადამიანებისას... არასდროს ვსარგებლობ რაიმეთი ან ვინმეთი. უბრალო მოკვდავი ვარ. რაც შეეხება მეგობრობას, ძალიან ცოტა მაყვს, ცოტა და ნაღდი. შინაგანად „ჩემთვისა“ გოგო ვარ, მართლაც მიყვარს. ნატურა ცოტა და იშვიათი მაქვს, სხვისთვის შეიძლება არაფრისმთქმელი იყოს. საჩუქაროში მშვიდობა მინდა, ცხოვრება - ომების გარეშე.

ბავშვობის დროინდელი გატაცება, დღემდე რომ მოგეყვება...

- წერა და კითხვა მიყვარს ბავშვობიდან.

მეგობრობაში მთავარი მატერიალური მდგომარეობა თუ მორალური თანადგომა?

- მეგობრობა ბევრ ნიუანსს მოიცავს. დეტალებს ვერ გამოვყოფდი. რასაც მეგობარი საჭიროებს და რისი გაცემაც შემიძლია, მზად ვარ, იმაზე ცოტა მეტიც მოვებოვო მისთვის. მეც მიმიღია მეგობრებისგან... მადლობელი ვარ.

ჩვევა, რომელიც დღემდე ვერ მოიცვალეთ?

- მიჩვევია, ღამე მეღვიძოს და ვწერო ან ვკითხო, რის გამოც მთელი დღე ვამთქნარებ.

ნინოობას პირველი ვინ გილოცავთ?

- მეუღლე.

კიდევ რომელ დღეებსა და საღვთო დღესასწაულებს გამოაჩენთ?

- ჩემი შვილების დაბადების დღეებს გამოაჩენთ სიხარულით ვხვდები, ასევე, უფლის შობასა და აღდგომა. ძალიან მიყვარს ბარბარობის დღესასწაული.

ბოროტება, რომელიც სიკეთით დაძლიეთ?

- არასდროს შემინიშნავს ჩემს სიახლოვეს ბოროტება... გამოდის, რომ დაძლიებულია...

სიზმარი, რომელიც მალე გაცხადდება...

- როცა მამა მესიზმრებოდა, ავად ვხდებოდი. მივხვდი, ეს ნიშანი იყო. უფალმა გზა მაჩვენა, მადლობა უფალს... მამა აღარ მესიზმრებოდა.

დაბოლოს, რას დაარქმევთ ლექსების ახალ კრებულს, რომელსაც უახლოეს მომავლაში გამოსცემთ?

- ეს სიურპრიზად დავტოვოთ.